სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების,
სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის ანგარიში
2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

2024 წელს - სოფლის მეურნეობის კუთხით - ორგანიზება გაეწია ფერმერების და მეწარმეების ჩართვას ფართომასშტაბიან აგრო გამოფენებში. აღმოვაჩინეთ და ხელი შევუწყვეთ ახალგაზრდა მეწარმეებს სხვადასხვა ფესტივალებში (სენაკი, თბილისი) ჩართულობით. ორგანიზება გავუწიეთ „გურჯაანის აგრო ფესტივალზე „სენაკელი მეწარმეების ჩართვას.
გარემოს დაცვით საკითხებზე მუშაობა ძირითადად მიმდინარეობს კლიმატის ცვლილების შემარბილებელი ღონისძიებებით „მერების შეთანხმების „ფარგლებში შემუშავებული „სენაკის მუნიციპალიტეტის მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმით“ აღებული ვალდებულებების შესრულებაზე. კერძოდ შევიძინეთ 25 ერთეული ენერგო ეფექტური ღუმელი, რომელთაგან 15 ერთეული გადავეცით ქალაქის N1,2,6 ბაგა-ბაღებს და ზემო ჭალადიდის საბავშვო ბაღს ,ხოლო 10 ერთეული ზემო ჭალადიდის სოციალურად დაუცველ მოსახლეობას. პროექტის მიზანია ემისიების შემცირება, მწვანე საფარის შენარჩუნება და კომფორტული გარემოს შექმნა შევიმუშავეთ და მუნიციპალიტეტის უსაფრთხოების პასპორტი.
ორგანიზაცის გავუწიეთ „მდგრადი ენერგეტიკის კვირეული-eusew-2024”,რომლის ფარგლებში სასწავლო სემინარი ჩავუტარეთ სენაკის პროფესიული სწავლების ბაზის სტუდენტებს, ასევე გასვლითი სემინარი შპს „ზან-აგრო- ში“ თემაზე „ ენერგო ეფექტური ტექნოლოგიები სოფლის მეურნეობაში“, სადაც გავაცანით მზის ენერგიის მომუშავე სადგურის მუშაობის პრინციპები.
გავაგზავნეთ საპროექტო განაცხადი „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ მიერ გამოცხადებულ კონკურსში „ საინვესტიციო კატალოგის შემუშავება“. კონკურსში გამარჯვების შემდეგ კერძო კონსულტანტთან ერთად ონლაინ ჩართვების შედეგად ვიმუშავეთ და გავამზადეთ „საინვესტიციო კატალოგის“ პირველადი ნიმუში და საპროექტო წინადადებები გავაგზავნეთ დონორებთან.
მონაწილეობა მივიღეთ „მერები ეკონომიკური ზრდისთვის „ დაგეგმილ სასწავლო შეხვედრაზე „მწვანე და სამართლიანი გადასვლა“. მივიღეთ დავალებები და ვმუშაობთ მის განხორციელებაზე.

ტურიზმის განვითარების გეგმის მიხედვით მოეწყო შხეფის ციხის შიდა და გარე ფასადის და ქალაქის შემოსასვლელში, მდინარე ტეხურის ხიდთან არსებული საქართველოს დროშის განათება. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის საჭიროებებისათვის შეძენილ იქნა დრონი. მომზადდა ბუკლეტი სენაკის მუნიციპალიტეტის ტურისტული ადგილებისა და მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ. ახალგაზრდული ტელევიზია “ქამალა

პროდაქშენი”-ს მიერ გადაღებულ იქნა მხატვრულ-დოუმენტური გადაცემა/ფილმი სენაკზე „იარე ჩემთან ერთად“, რომელიც მონტაჟის პროცესშია და უახლოეს მომავალში იქნება ნაჩვენები. დამონტაჟდა სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ობიექტების და ამ ობიექტებამდე მისასვლელი მარშრუტების საინფორმაციო/მიმართულების მანიშნებელი აბრები. სენაკის მოსწავლე ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრთან თანამშრომლობით მომზადდა სენაკის ტურისტული/საინტერესო ადგილების ინდივიდუალური 3 ფურცლიანი ბუკლეტები - დაახლოებით 50 ტურისტულ ლოკაციასა და გამოჩენილ ადამიანზე. მომზადდა სენაკის მუნიციპალიტეტის 2 გამორჩეული ადგილის, არქეოპოლისი-ციხეგოჯისა და მდინარე ტეხურის კანიონის ციფრული ბუკლეტები - სანახავი ადგილების ფოტოების, მდებარეობის, შესაბამისი ინფორმაციისა და ონლაინ რუკის მითითებით. მომზადდა გუგლ მაპს-ის პლატფორმაზე ინტეგრირებული სენაკის მუნიციპალიტეტის ძეგლების ციფრული რუკა, სადაც დატანილია მთელი სენაკის ტერიტორიაზე არსებული არქეოლოგიური/არქიტექტურული/რელიგიური და ბუნების ძეგლები, ფოტოები და ინფორმაცია. ქუთაისის ქუჩაზე ას კიბესთან შეძენილ იქნა და დამონტაჟდა ბინოკლი.
შეგროვდა ინფორმაცია მთელი სენაკის ტერიტორიაზე არსებული საზოგადოებრივი ტრანსპორტის კვანძების, მასზე გამავალი სახაზო ავტოტრანსპორტის მოძრაობის განრიგის შესახებ და მოხდა სისტემატიზაცია/თავმოყრა სპეციალურ ცხრილში.

მუნიციპალიტეტსა და მეორე მხარეებს შორის დასადები ხელშეკრულებებისა და შეთანხმებებისათვის მომზადდა სამართლებრივი აქტების (მერის ბრძანება, საკრებულოს განკარგულება) პროექტები. ასევე, მათი იუსტიციის სახლში სარეგისტრაციოდ აუცილებელი დოკუმენტაცია.

მომზადდა სამართლებრივი ურთიერთობის მარეგულირებელი ხელშეკრულებები და შეთანხმებები. განხორციელდა სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონებების დაყოფა. მომზადდა საკადასტრო აგეგმვით/აზომვითი ნახაზების შედგენის მომსახურეობის შესყიდვების განსახორციელებლად შესაბამისი დოკუმენტაციები.

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წინაშე დაისვა საკითხი სხვადასხვა დანიშნულებით უძრავი ქონებების სენაკის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში, ასევე სარგებლობაში გადმოცემის თაობაზე.

იპოთეკა/გირავნობის რეგისტრაციის მოხსნაზე და შეზღუდვის არსებობის გამო მომზადდა შესაბამისი კორესპონდენციები.

მომზადდა კორესპონდენცია და სამართლებრივი აქტები (ბრძანება, საკუთრების მოწმობა და სხვა) მუნიციპალიტეტის მერიის მიერ არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არა-იზოლირებული) ფართობის კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის თაობაზე.

მოთხოვნის შესაბამისად სხვადასხვა ორგანიზაციებს, სახელმწიფო და საჯარო დაწესებულებს გადაეგზავნა ინფორმაციულად დამუშავებული მონაცემები მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების და მისი განკარგვის თაობაზე.

ორგანიზაციებიდან და მოქალაქეებისგან შემოსული მომართვებით და განცხადებებით მოთხოვნილი საკითხები მისი შემდგომი გადაწყვეტის მიზნით ქვემდებარეობის შესაბამისად გადაეგზავნათ უფლებამოსილ სახელმწიფო და ადმინისტრაციულ ორგანოებს.

სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით (პრივატიზაცია, სარგებლობა, სერვიტუტი და სხვ. ჩასატარებელ ღონისძიებებთან დაკავშირებული თანხმობა, შუამდგომლობები და სხვა) ორგანიზაციებსა და მოქალაქეებს გაეგზავნათ შესაბამისი პასუხები (წერილი, მომართვა, შუამდგომლობები, განცხადებები). მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულ კორესპონდენციებზე სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოდან შემოდის მომართვები სისტემური რეგისტრაციის მონაცემებში დაფიქსირებული მოსარგებლე სუბიექტის არსებობის თაობაზე, შემოსულ მომართვაზე გაცემულია პასუხი. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან სისტემური რეგისტრაციის ფარგლებში შემოსულ განცხადებებს გაეცა პასუხი. ასევე პასუხი გაეცა საშემოსავლო სამსახურიდან შემოსულ მომართვებს.

გარემოდან ამოღებული და ლიკვიდირებული იქნა 5 მგელი და 20 ტურა. ლიკვიდირებული მტაცებლის ლეში განადგურებულ იქნა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ნაგავსაყრელზე გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის და სურსათის ეროვნული სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური სამმართველოს წარმომადგენლებთან ერთად.

მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული 2024 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და გეგმის შესაბამისად, მომზადდა სათანადო დოკუმენტაცია და გამოცხადდა შემდეგი უძრავი ქონებების აუქციონი:

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. სენაკში, ლეძაძამის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე უძრავი ქონების (საკ. კოდი 44.07.21.297), 200 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პრივატიზების მიზნით გამოცხადდა ელექტრონული აუქციონი სადაც გამოვლინდა აუქციონში გამარჯვებული ფიზიკური პირი გენადი ხუხუნი. პრივატიზების თანხამ შეადგინა 4400 ლარი.

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. სენაკში, ძველი სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე უძრავი ქონების (საკ. კოდი 44.04.28.366), 17 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის პრივატიზების მიზნით გამოცხადდა ელექტრონული აუქციონი სადაც გამოვლინდა აუქციონში გამარჯვებული ფიზიკური პირი მერაბი ჩიხლაძე. პრივატიზების თანხამ შეადგინა 6930 ლარი.

საპრივატიზაციო გეგმის მიხედვით, ელექტრონული აუქციონი გამოცხადდა სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქ. სენაკში, ჭაჭავაძის ქუჩაზე მდებარე უძრავი ქონების (საკ. კოდი 44.01.28.762) - 98 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პრივატიზების მიზნით რომელზედაც არ დაფიქსირდა არცერთი ბიდი.

აღნიშნულ უძრავ ქონებაზე, მ/წლის 27 ივნისს გამოცხადდა განმეორებითი ელექტრონული აუქციონი რომელზედაც ამჯერადაც არ დაფიქსირდა არცერთი ბიდი.

გამოცხადდა ელექტრონული აუქციონი ქ. სენაკში, რუსთაველის ქუჩა N235-ში მდებარე ტროტუარის (საკადასტრო კოდი N44.01.31.603) კიდეზე, გარე განათების ბოძის გვერდით განთავსებული 1,7 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე დამაგრებული უძრავი ქონების - 300 მმ-იანი ბოძის იჯარის ფორმით სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემის თაობაზე. სადაც გამოვლინდა აუქციონში გამარჯვებული ფიზიკური პირი ირაკლი ხარებავა. წლიური საიჯარო თანხა შეადგენს 1815 ლარს. სულ მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ობიექტების პრივატიზებიდან შემოსულია 11330 ლარი. მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემული უძრავი ქონებიდან მიღებულმა შემოსულობებმა სულ შეადგინა 61 300 ლარი, მათ შორის შენობა-ნაგებობებიდან 36 700 ლარი, ხოლო არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის გადაცემიდან - 24 600 ლარი.

მომზადდა და სახელმწიფო არქივის ეროვნულ სააგენტოს ჩაბარდა სენაკის მუნიციპალიტეტის მერიასთან არსებული ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარებაზე უფლებამოსილი მუდმივმოქმედი კომისიის 2016-2017 წლის მასალები (47 წიგნი). მოთხოვნის შესაბამისად, სხვადასხვა ორგანიზაციებს, სახელმწიფო და საჯარო დაწესებულებებს, მოქალაქეებს გაეგზავნათ პასუხი მათ მიერ დასმულ საკითხებთან დაკავშირებით.

მონაწილეობა მივიღეთ სენაკის მუნიციპალიტეტის საშუალო ვადიანი პრიორიტეტის დოკუმენტის მაჩვენებლების შევსებაში, მოთხოვნილი სხვადასხვა სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვებაში.